სოფლის მეურნეობის სიახლეები - საქართველო

სოფლის მეურნეობის სამინისტრო: განიხილება აგროდაზღვევის პროგრამის გაუმჯობესების პერსპექტივები

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით მინისტრის მოადგილე გიორგი ხანიშვილი გერმანიის განვითარების ბანკში (KfW) აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში საფინანსო სისტემების განვითარების განყოფილების უფროსს სილვია პასეჩეკს შეხვდა. როგორც სამინისტროში განაცხადეს, მხარეებმა განიხილეს საფინანსო რესურსების მობილიზაციის შესაძლებლობები სადაზღვევო მიმართულების გაძლიერების მიზნით. ასევე განიხილეს საქართველოს აგროდაზღვევის პროგრამის გაუმჯობესების პერსპექტივები.
Sarke Information News, 15 სექტემბერი, 2017

ბანკები და ფინანსები: „ახალი გადასახადი შემოღებულია მეფრინველეობის დარგში“

მთავრობის ბრძანებით 24 აგვისტოდან განისაზღვრება სურსათის ეროვნული სააგენტოს მომსახურების პირობები და ღირებულება, წერს გაზეთი. კერძოდ, 1 ქათმის ხორცის ვეტერინარული შემოწმების ღირებულება 5 თეთრია. მეფრინველეები ეწინააღმდეგებიან ამ რეგულაციას, იუწყება გაზეთი. როგორც მეფრინველეების ასოციაციის პრეზიდენტი ზურაბ უჩუმბეგაშვილი აღნიშნავს, ამ სეგმენტში დღგ უკვე მძიმე ტვირთი იყო და ახალი დამატებითი საფასური მცირე ფერმერებს დაღუპავს, ხოლო მსხვილი მწარმოებლები ამ ხარჯს ფასს დაამატებენ. ბიზნესმენებმა იკითხეს, რატომ დაემატა ეს ახალი გადასახადი მხოლოდ მეფრინველეებისთვის და არ შეეხო მეცხოველეობის სექტორს. დღეისათვის ქვეყანაში რეგისტრირებულია 300-ზე მეტი მეფრინველე, ხოლო სასაკლაო მხოლოდ ერთია, წერს გაზეთი და აღნიშნავს, რომ ადგილობრივი წარმოება აკმაყოფილებს მოთხოვნის მხოლოდ 30%-ს (გამოქვეყნდა 14 სექტემბერს).
Sarke Information News, 15 სექტემბერი, 2017

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე: რთველი კახეთის რეგიონში აქტიურ ფაზაში შევიდა

ღვინის ეროვნული სააგენტოს და რთველის საკოორდინაციო კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი სამანიშვილმა განაცხადა, რომ „ყურძნის გადამუშავების ყოველდღიურმა მაჩვენებელმა 2 600 ტონას მიაღწია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ რთველი აქტიურ ფაზაში შევიდა“. 11 სექტემბრისთვის კახეთში 18 600 ტ ყურძენი გადამუშავდა. ყურძნის რეალიზაციის შედეგად მევენახეების შემოსავალი 18 მილიონ ლარს შეადგენს, იტყობინება სამანიშვილი. საერთო ჯამში გადამუშავებული ყურძნიდან 7 000 ტ რქაწითელი (თეთრი ჯიშის) იყო, 9 300 ტ - საფერავი (წითელი ჯიში), 828 ტ - კახური მწვანე (კახეთის მწვანე). „ღვინის ექსპორტის ზრდა იმის წინაპირობაა, რომ ყურძნის ფასი მაღალია და ღვინის მწარმოებლების შემოსავლები გაიზარდა, რაც უკვე შეინიშნება 2017 წლის რთველის დროს“, - განაცხადა სამანიშვილმა. სააგენტოს ინფორმაციით, ამ ეტაპზე 132 ღვინის კომპანია რეგისტრირებულია რთველის საკოორდინაციო კომიტეტში, საიდანაც 67 უკვე ყურძნის გადამუშავების პროცესშია ჩართული.
Sarke Information News, 11 სექტემბერი, 2017

სოფლის მეურნეობის სამინისტრო: ექსპერტებმა 7 ქვეყნიდან დაადასტურეს, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა

7 ქვეყნის ექსპერტები ადასტურებენ 3 წლიანი კვლევის შემდეგ, რომ ღვინის სამშობლო საქართველოა, განაცხადეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში. როგორც სამინისტროში თქვეს, პროექტს ხელმძღვანელობდა პატრიკ მაკგოვერნი, სამზარეულოს, ფერმენტირებული სასმელების და ჯანმრთელობის ბიომოლეკულური არქეოლოგიის

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ფილადელფიაში პენსილვანიის მუზეუმის უნივერსიტეტში. სამინისტროს ცნობით, აღნიშნული კვლევის ანგარიში 10-11 ოქტომბერს საზოგადოებას წარედგინება ღვინის გამოფენაზე ბორდოს მეღვინეობის ცივილიზაციის ცენტრში (საფრანგეთი). გამოფენა „საქართველო - მეღვინეობის აკვანი", რომელიც 31 ივლისს დაიწყო, ნოემბრის ბოლომდე გაგრძელდება.
Sarke Information News, 11 სექტემბერი, 2017

ინოვაციური მეთოდების გაზიარება ფერმერებისთვის ENPARD-ის ფარგლებში
გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენლობის ინფორმაციით, სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპული სამეზობლო პროგრამის (ENPARD) პარტნიორების მე-14 შეხვედრა გაიმართა. ამ შეხვედრაზე ევროკავშირის წარმომადგენლობის ატაშემ, პროგრამის მენეჯერმა ალვარო ორტეგამ ისაუბრა ENPARD II-ის მიმდინარეობის შესახებ და ENPARD III-ის შესახებ მოლაპარაკებებზე. მონაწილეებმა განიხილეს, თუ როგორ უნდა გადაეცეს სამეცნიერო კვლევების შედეგები პრაქტიკაში, თუ როგორ უნდა მოხდეს ფერმერთა ტრეინინგში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ინოვაციური მეთოდების გადაცემა. კვლევის შედეგები, რომელიც ჩატარდა ადგილობრივ დაინტერესებულ ჯგუფებთან (LAG) და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან შეხვედრებზე, უზრუნველყოფს ENPARD III-ის პროექტების საფუძველს. 2013-2019 წლებში ENPARD-ის ბიუჯეტი საქართველოსთვის 102 მილიონ ევროს შეადგენს.
Sarke Information News, 11 სექტემბერი, 2017

ცხოველების იდენტიფიკაციის საკითხები განიხილებოდა აჭარაში
აჭარაში ჩატარდა საინფორმაციო კამპანიის დასკვნითი ეტაპი ცხოველთა იდენტიფიკაციის და რეგისტრაციის სისტემის (NAITS) შესახებ, განაცხადა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენლობამ. შეხვედრა აჭარაში გაიმართა სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ორგანიზებით საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს მონაწილეობით და შვეიცარიის (SDC) და ავსტრიის (ADC) განვითარების სააგენტოების ფინანსური მხარდაჭერით. ამ უკანასკნელებმა NAITS-ის პროექტის განხორციელებისთვის სულ 5 მილიონი აშშ დოლარი გამოყვეს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასაკლაოები არ მიიღებენ არაიდენტიფიცირებულ პირუტყვს 2018 წლის 1 იანვრიდან.
Sarke Information News, 7 სექტემბერი, 2017

სოფლის მეურნეობის მინისტრი: ბოლო ორი წლის განმავლობაში ნედლ თხილთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები შეიქმნა
სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს თხილის სექტორს აქვს ექსპორტის მაღალი პოტენციალი, მაგრამ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ნედლი თხილისთვის გარკვეული პრობლემები შეიქმნა. „წელს კლიმატური პირობების გამო ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევები გვქონდა", - განაცხადა მინისტრმა და აღნიშნა, რომ „კლიმატურმა პირობებმა, რომლებიც გამოწვეული იყო უხვი ნალექით, ხელი შეუწყო სხვადასხვა ჯგუფების სოკოს ორგანიზმების გაჩენას თხილში". დავითაშვილის განცხადებით, სერიოზული გამოწვევაა ასევე აზიური ფაროსანა (Halyomorpha halys). ბრძოლის პირველ ეტაპზე 53 ათასი ჰექტარი თხილის პლანტაციები სამეგრელოში, გურიაში, იმერეთში და აჭარაში ქიმიკატებით შეიწამლა. ამასთან, ახალი თხილის პლანტაციები 531 ჰექტარზე დაირგო (სამეგრელოში, გურიაში, იმერეთში და კახეთში), მიღებულია თხილის ტექნიკური რეგულაციები, მიმდინარეობს საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, განაცხადა მინისტრმა თხილის მწარმოებლების მე-4 ფორუმზე თბილისში დღეს. ფორუმი USAID-ის პროექტების - REAP (სოფლის მეურნეობის პროდუქციის ეფექტიანობის აღდგენა) და G-HIP (საქართველოში თხილის ხარისხის გაუმჯობესება) დახმარებით მოეწყო.
Sarke Information News, 6 სექტემბერი, 2017

ღვინის ეროვნული სააგენტო: ქვევრის ღვინის საერთაშორისო კონკურსზე 150 ნიმუშიდან 22-მა ოქროს მედლები მიიღო

ღვინის ეროვნული სააგენტოს განცხადებით ქვევრის ღვინის I საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობა მიიღო 60 ქართულმა და 5 უცხოურმა კომპანიამ (საფრანგეთი, სერბეთი და სლოვენია). წარმოდგენილი 150 ნიმუშიდან 22-მა ოქროს მედალი, 20-მა ვერცხლი და 29-მ ბრინჯაო მიიღო. ოქროს მედლების მომპოვებლებს შორის არის წითელი მშრალი საფერავი (ბეროზას ღვინო, 2015 წლის მოსავალი), წითელი მშრალი კაბერნე (2016, მაყაშვილის ღვინის მარანი), თეთრი მშრალი ჩელთის ქვევრიდან (2016, ჩეხური ღვინის ქარხანა), თეთრი მშრალი ქისი (ვიტა ვინეა 2014) და სხვა. კონკურსი ჩატარდა ქვევრის ღვინის მე-4 საერთაშორისო სიმპოზიუმის ფარგლებში, რომელიც მიმდინარეობდა 1-3 სექტემბერს იყალთოს აკადემიაში (კახეთის რეგიონი). იუნესკომ ქვევრში ღვინის დაძველების ქართული ტრადიციული ტექნოლოგია შეიტანა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში.

Sarke Information News, 5 სექტემბერი, 2017

სოფლის მეურნეობის სიახლეები - სომხეთი

პრეფერენციული ფერმერული სესხები სომხეთში მოდერნიზებული იქნება

სომხეთში ფერმერები 5%-იანი საპროცენტო განაკვეთით მიიღებენ სესხებს, ეს სომხეთის მთავრობამ ხუთშაბათს რეგულარულ შეხვედრაზე გადაწყვიტა. „პროგრამა დიდი ხნის წინ დაიწყო, მაგრამ სხვა პირობები იყო - სესხები 8%-იანი საპროცენტო განაკვეთებით გაიცემოდა და სესხის რაოდენობა 3 მილიონ დრამამდე შემოიფარგლებოდა“, - განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა იგნატ არაქელიანმა. „ჩვენ ვგეგმავთ პროგრამის მოდერნიზებას და მიმდინარე წელს სესხის 3-დან 10 მილიონამდე გაზრდას და 5 წლით გაცემას 5 პროცენტიანი განაკვეთით - დანარჩენი სახელმწიფო ბიუჯეტიდან იქნება გადახდილი“. მინისტრმა განაცხადა, რომ სასაზღვრო დასახლებების მცხოვრებნი, რომლებიც იღებენ დამატებით სოციალურ დახმარებას და ფერმერთა კოოპერატივები სესხებს სამ პროცენტიანი განაკვეთით მიიღებენ. „ჩვენ ველით, რომ პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა გაიზრდება და მეოთხე კვარტალში დავდებთ 1 600 კონტრაქტს“, - განაცხადა მან. „ბენეფიციარები უნდა მომზადდნენ სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდში და ჩვენ მათ დახმარებას აღმოუჩენთ პროგრამების შექმნაში. ამის შემდეგ მათ შეუძლიათ მიმართონ ფინანსურ ორგანიზაციებს სესხების მიღების თაობაზე“.

15 სექტემბერი, 2017 წელი, arka.am

AND Company სომხეთის თაფლის წარმოებაში 68,5 მლნ დრამს ჩადებს

სომხეთში **AND Company** თაფლის წარმოებაში 68,5 მილიონი დრამის ინვესტიციას განახორციელებს, განაცხადა სომხეთის ეკონომიკის განვითარების და ინვესტიციების მინისტრმა სურენ კარაიანმა ხუთშაბათს კაბინეტის რეგულარულ შეხვედრაზე. ქვეყნის მთავრობამ გაათავისუფლა კომპანია საბაჟო გადასახადების გადახდისგან ტექნოლოგიური აღჭურვილობის და ნედლეულის იმპორტისთვის. „იმპორტირებული მანქანები და ნედლეული გამოყენებული იქნება კომპანიის მიერ თაფლის წარმოებისათვის“, - განაცხადა კარაიანმა. „კომპანია აპირებს შექმნას 12 მუდმივი და 44 სეზონური სამუშაო ადგილი“.

15 სექტემბერი, 2017 წელი, arka.am

Tierras de Armenia წარმოადგენს ახალ უმაღლესი ხარისხის ღვინოებს

Tierras de Armenia-მ უმაღლესი ხარისხის ახალი ღვინო GRAN KARAS წარადგინა. კომპანიამ საინფორმაციო გამოშვებაში განაცხადა, რომ სომხურ მეღვინეობის ტრადიციებს 6200 წლამდე ისტორია აქვს და ქვეყნის კლიმატური თავისებურებებისგან გამომდინარე და XXI საუკუნის სახელმწიფოთაშორისი ტექნოლოგიების საშუალებით შესაძლებელი გახდა ნამდვილად განსაკუთრებული ღვინის შექმნა. მალე ეს ღვინო იპოვის ადგილს მსოფლიოს ყველაზე

ძვირფასი ღვინოების რიგში და კოლექციონერების კოლექციებში. ასეთი მაღალი ხარისხის სომხური ღვინის შექმნა ხელს შეუწყობს ბაზრის ამ სეგმენტში სომხური ღვინის აღიარებას. თავის გამოსვლაში KARAS-ის დირექტორმა ჯულიანა დელ აგუილა-ევნეკიანმა აღნიშნა, რომ KARAS 500-ზე მეტი მამაკაცის და ქალის მძიმე შრომის შედეგია, რომლებიც სიყვარულით და ერთგულებით მუშაობენ. მან გამოთქვა რწმენა, რომ GRAN KARAS-ის წყალობით ღვინის ექსპერტები და ღვინის ჭეშმარიტი მოყვარულები მალე გაეცნობიან სომხური ღვინის ისტორიას და ცოტა ხანში სომხეთი თავის ადგილს დაიკავებს მსოფლიოს ღვინის რუკებზე. „დღეს ჩვენ ძალიან მოხარული ვართ წარმოვადგინოთ ახალი ღვინო, რომელიც მთელს მსოფლიოში ექსპორტზე გატანილი იქნება იმისათვის, რომ ჩვენი ისტორია მსოფლიოს აჩვენოს. ღვინო, რომლის წარმოებაც დღეს ჩვენ დავიწყეთ, ჩვენი 10 წლის შრომის პროდუქტია. ამ ღვინით ჩვენ ვაპირებთ ახალი გვერდი დავიწყოთ სომხური მეღვინეობის პროგრესში. ეს არის 500 ადამიანის რთული მუშაობის შედეგი და მადლობელი ვართ თითოეული მათგანის მათი ერთგული სამუშაოსთვის“, - აღნიშნა ქალბატონმა ჯულიანა დელ აგუალა-ევნეკიანმა. აღსანიშნავია, რომ „GRAN KARAS -2013“ ძალიან შეზღუდული რაოდენობით იქნება წარმოებული. ღვინო KARAS WINES არის სომხეთში არმავირის რეგიონის დასავლეთ ნაწილში შექმნილი საწარმო. კომერციული წარმოება 2010 წელს დაიწყო. KARAS WINES Tierras de Armenia-ს ნაწილია, დაახლოებით 2 300 ჰექტარს იკავებს, საიდანაც 400 ჰექტარზე მეტია ვენახები, სადაც ორივე საერთაშორისო და ადგილობრივი ჯიშები იზრდება, მათ შორის: შარდონე, ვიონიერი, სოვინიონ ბლანი, კანგუნი და მალბეკი, ტანატი, მერლოტი, კაბერნე ფრანკი და კაბერნე სოვინიონი წითელი ღვინისათვის.
14 სექტემბერი, 2017 *წელი, arka.am*

არაბეთის გაერთიანებული საემიროები დაინტერესებული არიან სომხეთის სოფლის მეურნეობაში ინვესტირებით

არაბეთის გაერთიანებული საემიროები დაინტერესებულია სომხეთის სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტირებით, ეკონომიკური განვითარების და ინვესტიციების მინისტრის მოადგილე ჰოვანეს აზიზიანმა 5 სექტემბერს განაცხადა ეკონომიკის საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე. მისი თქმით, არაბმა ინვესტორებმა 30 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელეს სომხეთში - ეკონომიკაში. მინისტრის მოადგილის განცხადებით 2016 წლის ბოლოსთვის სომხეთში UAE-ის ინვესტიციები 28,4 მილიონ დოლარს შეადგენდა, ხოლო 2017 წლიდან 1,2 მილიონი დოლარით გაიზარდა. „სოფლის მეურნეობაში ჩადებული ინვესტიციები ძირითადად ხილის ბაღების დარგვისთვის იქნა გამოყენებული“, - განაცხადა აზიზიანმა.
6 სექტემბერი, 2017 წელი, arka.am

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით ალიანსთან ხელი მოაწერეს მემორანდუმს თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით

სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრი იგნატ არაქელიანი დღეს სომხეთის სოფლის მეურნეობის ალიანსს შეხვდა და სამინისტროს ახალი პროგრამები და თანამშრომლობის მიმართულებები განიხილა. სამინისტრომ ARMENPRESS-ს განუცხადა, რომ მხარეებმა განიხილეს პროგრამების საკრედიტო საპროცენტო განაკვეთის ნაწილობრივი სუბსიდირება, „2017-2025 სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია“ და სხვა პროგრამები. მხარეებმა განიხილეს სოფლის მეურნეობის სფეროში სადაზღვევო სისტემის დანერგვის საპილოტე პროგრამა, ასევე საკონსულტაციო სისტემების დახვეწის და ხარისხიანი განათლების საკითხები. მინისტრმა ხაზი გაუსვა მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის მნიშვნელობას. მხარეები გეგმავენ შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეისწავლის სოფლის მეურნეობის საკანონმდებლო სფეროს და წარუდგენს წინადადებებს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. შეხვედრის დასასრულს სამინისტრომ და ალიანსმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს სოფლის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ.
6 სექტემბერი, 2017 წელი, armenpress.am

პუბლიკაციები და სხვა

Business & Finance Consulting (BFC)-ის საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი, 2017 წლის აგვისტოს #60 გამოცემა

საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი წარმოადგენს რეგულარულ სიახლეებს ინვესტიციების და ფინანსური ნაკადების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობაში. გამოცემას გაეცანით ამ ბმულზე.

http://agrogeorgia.blog.com/

ევროკავშირ/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენი

ევროკავშირი/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენის ბოლო გამოცემა ხელმისაწვდომია. იხილეთ ამ ბმულზე:

http: eeas.europa.eu/delegations/georgia/.

ENPARD: ახალი ამბები სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამიდან

სიახლეები იხ. ამ ბმულზე: **www.enpard.ge**

DWV & AGRICULTURE

თუ ეძებთ ინფორმაციას იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც საქმიანობენ სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში.

იხილეთ ცნობები და ჩვენი წევრების საკონტაქტო მონაცემები ამ ბმულზე:

www.dwvg.ge

Agro & Food Up-to-Date

Agro & Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტზე. http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/